გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის № 833 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №106

ქ. გურჯაანი 2019 წელი 5 ივლისი

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:
არჩილ ხანდამაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, მერი;
წევრები:
სიმონი ქოჩორაშვილი - მერის პირველი მოადგილე;
ვლადიმერ მუსალბიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ბერიძიშვილი - მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი;
ნატო გონგაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ნანა ჭაბუკაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი.
სატენდერო კომისის აპარატის შემადგენლობა:
ნინო ქაჩლიშვილი - ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.
ზიჭიკო მაისურაძე - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

დღის წესრიგი:
ელექტრონული ტენდერის საშუალებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ კარდენახში კულანჯის ხევის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის და სოფელ ბაკურციხის ხევის გამაგრების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება;
კომისიამ განიხილა:
სატენდერო კომისიამ იმსჯელა სამუშაოების მიწოდების ვადის, ასევე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2583 განკარგულების საფუძველზე ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში 200000 (ორასი ათასი) ლარის სამშენებლო სამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის" 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში შესყიდვის შესახებ. სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად (6 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა
კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ კარდენახში კულანჯის ხევის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის და სოფელ ბაკურციხის ხევის გამაგრების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით 107622 ლარი. სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 1000 ლარი.
2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.
3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2583 განკარგულების საფუძველზე სამუშაოების შესყიდვა განახორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის" 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: ა. ხანდამაშვილი
წევრები:
ს. ქოჩორაშვილი
ნ. გონგაძე
კ. ბერიძიშვილი
ვ. მუსალბიშვილი
ნ. ჭაბუკაძე
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
ნ. ქაჩლიშვილი
ზ. მაისურაძე

Gurjaani Municipality
Digitally signed by Gurjaani Municipality
Date: 2019.07.05 16:41:51 +04'00'